მ ხ ა რ ე თ ა შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

2012 წლის 20 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

N11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. ბათუმი 31 მაისი, 2012 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და შპს ,,EVG" -ს შორის 2012 წლის 20 იანვარს დაიდო N11 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მიმწოდებელი იღებს ვალებულებას 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ტონერის კარტრიჯების აღდგენა და კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება-მომსახურეობა. სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრა 5000 (ხუთი ათასი) ლარით. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ, ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი, აპარატის უფროსის ომარ მეგრელიძის სახით, და მეორეს მხრივ შპს ,,EVG", მისი დირექტორის ედნარ გელაძის სახით, მოქმედი კანონმდებლობისა და 2012 წლის 20 იანვრის N11 ხელშეკრულების შესაბამისად, შევთანხმდით შემდეგზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და შპს ,,EVG" -ს შორის 2012 წლის 20 იანვარს გაფორმებული N11 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო თანხა 5000 (ხუთი ათასი) ლარი შემცირდეს და აღნიშნული მხარეთა შეთანხმების თანახმად განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარით.

2. წინამდებარე დანართი შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად და ის წარმოადგენს 2012 წლის 20 იანვრის N11 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. წინამდებარე მხარეთა შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

,,შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის	
მთავრობის აპარატი	შპს ,, EVG "
აპარატის უფროსი	დირექტორი
ომარ მეგრელიძე	**ედნარ გელაძე**